გიორგი სანიკიძე, ნინო კილურაძე,
ლალი ფირცხალავა

# ისტორია

# 8

## მოსწავლის რვეული



ბაკურ სულაკაურის
გამომცემლობა

სახელი ______________________________

გვარი ______________________________

კლასი ______________________________

# კონფლიქტები ძველ მსოფლიოში
(პარაგრაფი 1-6)

## 1. განმარტეთ ქვემოთ მოცემული სიტყვები

ელიტა

კავალერია

რეგულარული ჯარი

კოალიცია

პუნიკური

ორატორი

## 2. შეავსეთ ცხრილი

| შიდა სახელმწიფოებრივი კონფლიქტები | |
|---|---|
| მიზეზები | შედეგები |
| | |
| | |
| | |
| | |
| | |

## 3. გაეცანით მასალას და შეასრულეთ დავალება

**წყარო 1**

**საერთაშორისო უშიშროების დამხმარე ძალების (ისაფ) მისია ავღანეთში**

ისაფი 2001 წელს გაერო-ს რეზოლუციის საფუძველზე შეიქმნა. მის დანიშნულებაა ავღანეთში უსაფრთხო და სტაბილური გარემოს შექმნა, ავღანეთის შეიარაღებული ძალების წვრთნა და სათანადო მომზადება.

ავღანეთში უკვე ათწლეულებია, რაც სამოქალაქო ომი მიმდინარეობს და ქვეყანა მსოფლიოს ერთ-ერთ ყველაზე ,,ცხელ წერტილად“ ითვლება. ამ ვითარებაში ისაფ-ს განსაკუთრებული როლი აკისრია. მისია ჩრდილოატლანტიკური ხელშეკრულების ორგანიზაციის (ნატო) ეგიდით მოქმედებს. 2010 წლიდან ავღანეთში მისიის მუშაობაში ჩართულია ქართული შეიარაღებული ჯარები. ქართველი მეომართა რაოდენობა ნატოს არაწევრ ქვეყნებს შორის ყველაზე დიდია. ქართველი მეომრები, ხშირად საკუთარი სიცოცხლის ფასად, შორეულ ავღანეთში ემსახურებიან მშვიდობის დაცვის საქმეს.



*ქართული ჯარი ავღანეთში*



*აშშ-ის პრეზიდენტი ობამა სტუმრად ავღანეთში დაჭრილ ქართველ ჯარისკაცთან*

**წერილობით ჩამოაყალიბეთ თქვენი მოსაზრებები ავღანეთის სამშვიდობო მისიაში ქართული ჯარის მონაწილეობის მნიშვნელობის შესახებ.**

## 4. შემოხაზეთ სწორი პასუხი

### 4.1 იმანუილ კანტმა დაწერა ნაშრომი:

ა) „ომისა და მშვიდობის სამართლის შესახებ“;
ბ) „მარადიული მშვიდობის შესახებ“;
გ) „ომისა და მშვიდობის შესახებ“.

### 4.2 ჰიქსოსების სახელი წარმოდგება:

ა) ეგვიპტური „უცხოელი მმართველებისგან“;
ბ) ლათინური „მწყემსების მეფეებისგან“;
გ) ბერძნული „უშიშარი მეომრებისგან“.

### 4.3 შორეული ლაშქრობების მოწყობის შესაძლებლობა შექმნა:

ა) მუდმივმა ჯარმა;
გ) საზღვაო ფლოტმა;
ბ) ცხენებმა და საბრძოლო ეტლებმა.

### 4.4 ასურეთმა არსებობა შეწყვიტა:

ა) ქადეშის ბრძოლის შემდეგ;
ბ) ქარხემიშის ბრძოლის შემდეგ;
დ) დაიენის ბრძოლის შემდეგ.

### 4.5 მძიმედ შეჭურვილ ბერძენ მეომრებს ეწოდებოდათ:

ა) ფალანგები;
ბ) მეტეკები;
გ) ჰოპლიტები.

### 4.6 ალექსანდრე მაკედონელმა დედაქალაქად აირჩია:

ა) პერსეპოლისი;
ბ) ბაბილონი;
გ) ალექსანდრია.

### 4.7 ალექსანდრე მაკედონელის მასწავლებელი იყო:

ა) არისტოტელე;
ბ) პლატონი;
გ) სოკრატე.

### 4.8 ჰანიბალი იტალიაში შეიჭრა;

ა) ხმელთაშუა ზღვიდან;
ბ) ესპანეთიდან ალპების გზით;
გ) საბერძნეთიდან.

## 5. ᲧᲣᲠᲐᲓᲦᲔᲑᲘᲗ ᲒᲐᲔᲪᲐᲜᲘᲗ ᲬᲧᲐᲠᲝᲡ ᲓᲐ ᲨᲔᲐᲡᲠᲣᲚᲔᲗ ᲓᲐᲕᲐᲚᲔᲑᲐ

**ᲬᲧᲐᲠᲝ 1**

ციფრები, რომლებიც მოჰყავთ გარდასულ დროთა მემატიანეებს, დღეს ხშირად არა მხოლოდ არასწორი, არამედ უაზროც აღმოჩნდება ხოლმე... ჰეროდოტეს სიტყვებით, სპარსელების რაოდენობა, რომლებსაც იერიში მიჰქონდათ ბერძნულ ქალაქებზე, 2 მილიონი იყო (დამხმარეებისა და მოსამსახურეების ჩათვლით - 4 მილიონ 200 ათასი). საკმარისია გამოითვალოს მანძილი ამგვარი, კოლონებად მოძრავი არმიის თავსა და ბოლოს შორის, რომ მაშინვე აღმოვაჩენთ ამ რიცხვის აბსურდულობას. ჰეროდოტეს თუ დავუჯერებთ, ერთ კოლონაში 420 ათასი ადამიანი უნდა ყოფილიყო. ამ შემთხვევაში, როდესაც წინამავალი კოლონა თერმოპილეს მიაღწევდა, მაშინ ბოლო კოლონა სპარსელთა სატახტო ქალაქ სუსაში, ტიგროსის იქითა სანაპიროზე უნდა მდგარიყო.

*რაიმონ არონი*

**წერილობით ჩამოაყალიბეთ თქვენი მოსაზრებები წყაროში მოტანილი მასალის შესახებ. როგორ ფიქრობთ, რა განაპირობებდა მემატიანეების მიერ ამგვარი გადაჭარბებული ციფრების მოყვანას?**

## 6. წინადადებებში გამოტოვებულ ადგილას ჩასვით შესაბამისი სიტყვა

ალექსანდრია, კართაგენი, სამხედრო, ქადეში, ქურუმები, ღვთაება, პროფესიონალი, ეგვიპტელები, მილტიადესი, რამსეს II, ტანკი, ტიგლათფალასარ III, მუთავალი, სპარსელები, ხეთები, რეგულარული, მარათონი, ხმელთაშუაზღვისპირეთი, აღმოსავლეთი

6.1 ჰიქსოსების საბრძოლო ეტლი – ძველი დროის ________________ , შემდგომ ________________ გამოადგათ შორეულ ლაშქრობების განსახორციელებლად.

6.2 ძვ.წ. 1274 წელს ________________ ბრძოლაში ერთმანეთს დაუპირისპირდნენ ________________ მეფე ________________ მეთაურობით და ეგვიპტელები ________________ მეთაურობით.

6.3 ძვ.წ. 745 წელს ________________ გაატარა ________________ რეფორმა, რომლის შედეგადაც ჯარში შეიქმნა ________________ ჯარისკაცებისაგან შემდგარი ________________ ნაწილებისაგან.

6.4 ძვ.წ. 490 წელს________________ სარდლობით ________________ ათენელებმა ________________ ველზე სძლიეს ________________ მრავალრიცხოვან ლაშქარს.

6.5 ალექსანდრემ ეგვიპტეში დააარსა ახალი ქალაქი ________________, ხოლო ეგვიპტელმა ________________ ის ________________ აღიარეს.

6.6 ________________ დამარცხების შემდეგ რომს დასავლეთ ________________ მეტოქე აღარ ჰყავდა და მთელი ძალა ________________ მიმართა.

## 7. შეავსეთ ცხრილი

| ბერძენ-სპარსელთა ომები | |
|---|---|
| ძვ.წ. 500 | |
| | მარათონის ბრძოლა |
| | თერმოპილეს ბრძოლა |
| ძვ.წ. 480 | |
| | პლატეას ბრძოლა |

## 8. რუკაზე დაახლოებით მონიშნეთ „ბრინჯაოს ხანის იმპერიები“ (მიაწერეთ სახელები)



## 9. ჩაასწორეთ ტექსტში დაშვებული შეცდომები

9.1 რამსეს II-ის მიერ ძვ.წ. 1472 წელს ქარხემიშთან გადახდილი ბრძოლა ჰიქსოსებთან დასრულდა საზავო ხელშეკრულებით, რომელიც მიჩნეულია არათანასწორი ხელშეკრულების პირველ ნიმუშად.

9.2 ასურელთა ლაშქრის ძალას განაპირობებდა გლეხებისაგან შემდგარი არარეგულარული სამხედრო ნაწილები.

9.3 ძვ.წ. 490 წელს ათენელებმა თემისტოკლეს სარდლობით სძლიეს ხეთებს პლატეას ბრძოლაში.

9.4 ძვ.წ. 331 წელს ალექსანდრე მაკედონელმა ისოსთან ბრძოლაში გამარჯვება მოიპოვა ქსერქსეს გრანდიოზულ არმიაზე.

9.5 ცნობილი ორატორი ჰამილკარი ნებისმიერ საჯარო გამოსვლას ასე ასრულებდა: „რომი უნდა დაინგრეს“.



## 10. გამოიცანით რომელი ისტორიული პიროვნება გესაუბრებათ

ა) მე გავატარე სამხედრო რეფორმა, გლეხებისაგან შემდგარი რაზმების სანაცვლოდ შევქმენი პროფესიონალი ჯარისკაცებით დაკომპლექტებული რეგულარული არმია. ამ რეფორმამ ასურეთს დიდი გამარჯვებები მოუტანა.

ვინ ვარ მე? ____________________



ბ) ძვ.წ. 500 წელს ჩავახშე იონიელთა აჯანყება და გადავწყვიტე მათი მოკავშირეების, ათენელების დასჯა. მაგრამ ძვ.წ. 490 წელს ათენელებთან მარათონის ბრძოლაში ჩემი ჯარი დამარცხდა.

ვინ ვარ მე? ____________________



გ) ჩემი წინადადებით, ათენელებმა დაიწყეს სამხედრო ფლოტის მშენებლობა. სპარსელებმა ათენის აღება შეძლეს, მაგრამ მე მოვახერხე მოსახლეობისა და ფლოტის გადარჩენა. ჩემმა სამხედრო ფლოტმა ორჯერ დაამარცხა სპარსელების ფლოტი სალამინისა და პლატეას საზღვაო ბრძოლებში.



ვინ ვარ მე? ____________________

დ) მე ჩემი ლაშქრით თოვლიანი ალპები გადავლახე და შევიჭერი იტალიაში. ძვ.წ. 216 წელს სასტიკად დავამარცხე რომაელები. თუმცა ძვ.წ. 202 წელს დავმარცხდი მათთან ბრძოლაში და კართაგენი იძულებული გახდა, დათანხმებოდა ზავის მძიმე პირობებს.



ვინ ვარ მე? ____________________

# დაპირისპირებები ახლო აღმოსავლეთში

(პარაგრაფი 7–11)

1. განმარტეთ ქვემოთ მოცემული სიტყვები

სანელებლები

დომინირება

კოპტები

დინასტია

გარნიზონი

ავტორიტეტი

პრეტენდენტი

კოალიცია

ჩალმა

## 2. შეავსეთ ცხრილი

2.1

| წლები | მოვლენა |
|---|---|
| | ირანელთა ბატონობის წინააღმდეგ აჯანყდა ქართლის მეფე გურგენი |
| 642 | |
| | ომაიანთა დინასტია |
| 750-1258 | |
| | მანაზკერტის ბრძოლა |

2.2

| წლები | მოვლენა |
|---|---|
| | დიდი განხეთქილება ქრისტიანობაში |
| 1099 | |
| | მუსლიმებმა აიღეს ჯვაროსანთა ციხესიმაგრე აკრი |
| 1402 | |
| | ტრაპიზონის იმპერიის დაცემა |

## 3. ჩაწერეთ სად და როდის მოხდა ეს მოვლენები

3.1 ბიზანტიისა და სასანიანთა ომების მიწურულს უპირატესობა ბიზანტიელთა მხარეს გადავიდა. ომების ერთ-ერთი სამიზნე საქართველო იყო. მიზნის მიღწევა აქ ბიზანტიელებმა საკუთარი მოკავშირეების საშუალებით შეძლეს.

3.2 ეს ბრძოლა გადამწყვეტი გამოდგა არაბთა პირველი სამოქალაქო ომის დროს. ამის შემდგომ შეიქმნა მიმდინარეობები ისლამში და დაფუძნდა სახალიფოს პირველი დინასტია.